ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4179870

ნომერი: AR1624803

თარიღი : 23.08.2018

გაცემის თარიღი : 20.09.2018

გაცნობის თარიღი : 27.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი, I ქუჩა, N22-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 15 ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა I , N 18/3 , (ნაკვ.02/006);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზი გუგუნაშვილი პ/ნ 12001036838
- გარდაბანი ს. საცხენისი

ორგანიზაცია:

- შპს იქს-სტილი+ კოდი: 406170361

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 23 აგვისტოს №AR1624803 განცხადებით მომართა რამაზი გუგუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა III, N15/ქალაქი თბილისი დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, N18/3 (ნაკვ. 02/006), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.002.042), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2019 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 16 მაისის №3963514 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანებით შეთანხმებული +23.00 ნიშნულზე მე-8 სართულის გეგმა ჩანაცვლდა 2018 წლის 11 აპრილის №AR1590688 განცხადებით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის პირველი სართულის გეგმაზე კომერციული ფართობი ექსპლიკაციებში სწორადაა მითითებული, ხოლო ამავე სართულის გეგმაზე კომერციულ ფართობი 350.30 კვ.მ-ს ნაცვლად მითითებულია 356.30 კვ.მ. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმის (0.00 ნიშნული) 2018 წლის 23 აგვისტოს №AR1624803 განაცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმაზე ფართების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმა (0.00 ნიშნული) ჩანაცვლდეს 2018 წლის 23 აგვისტოს №AR1624803 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 და 2018 წლის 16 მაისის №3963514 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge